4 ქულა ცსკა–სთან

მოსკოვი. “დინამოს” სტადიონი. 9 ოქტომბერი.

ცსკა – “დინამო” (თბილისი) 0:2 (0:0).

ცსკა: ნოვიკოვი, ბუკიევსკი, შვეცოვი, პასეჩნიკი, აჯემი (ბელენკოვი), გლუშაკოვი, დულიკი, დუბინინი, ტარხანოვი, კოლიადკო, ახმადულინი (კორობოჩკა).

“დინამო”: გაბელია, მუჯირი, ჩივაძე, ხიზანიშვილი, ჭილაია (კოსტავა), დარასელია, სულაქველიძე, ქორიძე, გუცაევი (ჩელებაძე), კაკილაშვილი, შენგელია.

მსაჯი: ა. ტემეტევი (უჟგოროდი).

დუბლიორები – 0:2. ბურთები გაიტანეს მეშკოვმა და ცაავამ.

ჯერ მცირეოდენი ისტორია: თბილისის “დინამომ” პირველი წრის მატჩი მოსკოვის არმიელებთან შინ 11 მაისს ითამაშა. მაშინ თბილისელები წამყვან ჯგუფში იმყოფებოდნენ, არმიელებს კი მე–13 ადგილი ეკავათ, აშკარად ჩანდა მეტოქეთა ძალებში სხვაობა და დინამოელებმა იოლად გაიმარჯვეს – 2:0, რის შემდეგ არმიელები კიდევ უფრო დაბლა, მე–15 ადგილზე ჩამოქვეითდნენ.

მაგრამ განსხვავება ცსკა–ს მაშინდელ და ახლანდელ მდგომარეობას შორის ძალზე დიდია. არმიელებმა სწორედ იმ წაგებული მატჩის შემდეგ სრული მეტამორფოზა განიცადეს – ჩემპიონატის კალენდარულ შეხვედრათა მთელი სერია წარმატებით ჩაატარეს და I წრის ბოლოს თბილისის “დინამოსთან” ერთად 20–20 ქულა დააგროვეს (III-IV ადგილები). ეს თანაფარდობა მეტნაკლებად შენარჩუნებული იქნა 9 ოქტომბრის მატჩამდე, როცა ცსკა გათამაშების წამყვან ჯგუფში სულ ერთი ქულით უსწრებდა “დინამოს”.

ეტყობა, ამ გარემოებამ იქონია გავლენა იმაზე, რომ ორივე გუნდმა შესამჩნევი სიფრთხილით, პოზიციური ხასიათის მანევრებით დაიწყო თამაში. ინიციატივის ხელში აღებას ორივე მხარე მონდომებით ცდილობდა, მაგრამ დაცვითი ხაზები აშკარად სჯობდნენ საიერიშო რგოლებს, კომბინაციები მეტწილად მინდვრის შუაგულში ხორციელდებოდა, კარში დარტყმებიც ნაკლებად იყო. გამონაკლისს წარმოადგენდა მხოლოდ ორი მცველი – აჯემი და ჩივაძე, რომლებიც აქტიურად ერთვოდნენ შეტევას, ამასთან ჩივაძე გაცილებით უფრო ხშირად და თამამად გადიოდა წინ.

მხოლოდ ტაიმის დასასრულს გახდა შესამჩნევი დინამოელთა უპირატესობა – მათი იერიშები გახშირდა, სახიფათო მომენტები შექმნეს ჩივაძემ, დარასელიამ, შენგელიამ.

ფრთხილ თამაშზე პირველად ხელი აიღეს თბილისელებმა და ეს მოხდა მაშინვე, როგორც კი დაიწყო მეორე ტაიმი. გუნდმა მნიშვნელოვნად მოუმატა ტემპს და თამაშიც მაშინვე დაიძაბა, იმატა კარის წინ შექმნილი სახიფათო მომენტების რიცხვმა, თამაშში სრული დატვირთვით ჩაებნენ ცსკა–ს მცველები და მეკარე ნოვიკოვი.

77–ე წუთზე მასპინძელთა მხარეს დაინიშნა საჯარიმო, ქორიძემ დაახლოებით 25 მეტრის მანძილიდან ძლიერად დაარტყა. ბურთი, რომელიც შეეხო ერთ–ერთ მცველს, ოდნავ შეცვლილი მიმართულებით წავიდა კარისკენ და ნოვიკოვმა ვერ შეძლო მისი შეჩერება – 1:0.

ორიოდე წუთის მერე დარასელია მარჯვენა ფრთიდან გავიდა გარღვევაზე, გაუსწრო დულიკს და თუმცა, შეძლო კომბინაციის გაგრძელება ცენტრში მყოფ

პარტნიორებთან, საკუთრივ ამჯობინა კარში დარტყმა და სწორედაც მოიქცა: ნოვიკოვი არ იყო მზად ბურთის მისაღებად – 2:0.

არმიელებს ერთობ მცირე დრო დარჩათ მდგომარეობის სახსნელად, მაგრამ გარდატეხა თამაშში არც მაშინ მომხდარა. თბილისელებმა ბოლომდე ღირსეულად იბრძოლეს და დამსახურებულად გაიმარჯვეს.

რ. ქორქია.

“ლელო”, 11 ოქტომბერი, 1980 წ.